მ. მირიანაშვილი ლ. ვაშაკიძე ქ. თოფაძე

ქართული ენა

1

მასწავლებლის წიგნი

სარჩევი

ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის სასწავლო კომპლექტის კონცეფცია (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) 4

1. ზოგადი ინფორმაცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში I კლასის სასწავლო კომპლექტის შესახებ 5

2. სასწავლო კომპლექტით მუშაობის მიდგომები, მეთოდები და ხერხები
   2.1. ექვსი წლის ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები 7
   2.2. რამდენიმე რჩევა პირველადი სასკოლო სოციალური უნარ-ჩვევების გმომუშავებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის 7
   2.3. მეთოდის შესახებ 8

3. დეტალური კომენტარები მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის სამუშაო რვეულის შესახებ
   3.1. სურათის აღწერა და სასაუბრო თემები 10
   3.2. მასწავლებლის მიერ კლასში წაკითხული ტექსტის დამუშავება და პატარა ლექსის დასწავლა კლასში 10
   3.3. ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სავარჯიშოები 12
   3.4. ასობგერითი მიმართებების განვითარებაზე მუშაობა 13
   3.5. სალექსიკონო ნაწილზე მუშაობა 14
   3.6. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება 15
   3.7. მოძრავი ანბანით მუშაობა 15
   3.8. საკითხავი სავარჯიშოები 16
   3.9. ძირითად ტექსტზე მუშაობა 17
   3.10. ძირითადი ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სამუშაოები 18
   3.11. გრამატიკული კატეგორიების შესახებ 19
   3.12. ენობრივი სავარჯიშოები 20
   3.13. სავარჯიშოები შემეცნებითი (კოგნიტური) პროცესების გააქტიურებისათვის 20
   3.14. მოსწავლის რვეული 21
   3.15. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა 24
   3.16. მიზნობრივი თამაშები 25
   3.17. დიდაქტიკური მასალა 28

4. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი
   4.1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები 29
   4.2. საგნობრივი სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, პირველი კლასი 30
   4.3. რეკომენდაციები პირველკლასელთა შეფასებისათვის 35
   4.4. გაკვეთილების თემები, მიზნები და ესგ-ის სტანდარტის ინდიკატორებთან კავშირი. დამატებითი მასალები, რეკომენდაციები, სცენარები 41

5. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ
   5.1. გამჭოლი კომპეტენციები 182
   5.2. მეტაკოგნიცია 184
   5.3. სწავლება-სწავლის კოგნიტური სქემები 185

6. ინკლუზიური განათლების შესახებ 186
7. რეკომენდებული სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის სია 188

4. 4. გაკვეთილების თემები, მიზნები, კავშირი ესგ-ის ინდიკატორებთან, სცენარები. დამტებითი ლიტერატურული და ენობრივი მასალა. რეკომენდაციები
I სემესტრი

თემა №1: „ვემზადებით სკოლისავის“ (3 სთ)

გაკვეთილი № 1 – გაცნობა

მიზნები

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სასკოლო-სოციალურ გარემოში ჩართვა, უმარტივესი სამეტყველო ეტიკეტის დაცვა;
- ყურადღების მობილიზაცია;
- მასწავლებლის ინსტრუქციის მოსმენა და გაგება;
- თვითგამოვლენა და თვითგამოხატვა.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4. 3; 4. 4; 4. 5; 4. 7; 4.8; 4.10.

ასრულებს მარტივ ინსტრუქციას;
იყენებს სამეტყველო ეტიკეტის უმარტივეს ენობრივ ფორმებს;
საუბრობს საკუთარ გამოცდილებასა და ემოციებზე;
მონაწილეობს სოტუაციურ თამაშში.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	გაცნობა			საკლასო ინდივიდუალური
2	როგორ ვემზადებოდით სკოლისთვის			საკლასო ინდივიდუალური
3	მიზნობრივი თამაში „გავიცნოთ ერთმანეთი“	დამხმარე მასალა	მასწ. წიგნი	ჯგუფური
4	ლექსების წარმოთქმა			საკლასო ინდივიდუალური

გაკვეთილის სცენარი

გაკვეთილი № 1 – გაცნობა

მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ პირველი კვირა და, განსაკუთრებით, პირველი დღე, ერთი მხრივ, საზეიმოა, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაზე რთული. მოსწავლეებს და, განსაკუთრებით, იმ ბავშვებს, რომლებსაც საბავშვო ბაღში არ უვლიათ, უჭირთ ახალ გარემოში დარჩენა, გარკვეული დრო სჭირდებათ მასთან შესაგუებლად. ყველა სკოლას თავისი ტრადიცია აქვს პირველკლასელების მისაღებად. ამდენად, ამ დღეს სასწავლო პროცესის დასტრუქტურებულად წარმართვა ძნელია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ.

ტრადიციულად, პირველი გაკვეთილი გაცნობით იწყება. მასწავლებელი წარადგენს თავის თავს. სასურველია, ეს არ მოხდეს მხოლოდ სახელისა და გვარის დასახელებით და მისი მოვალეობის აღნიშვნით – რომელი საგნები უნდა ასწავლოს, რადგან ამგვარი ინფორმაცია მოსწავლისათვის ვერ შექმნის ნდობის გარემოს. გაცნობის პროცესში მასწავლებელმა უნდა მისცეს მაგალითი, გაცნობისას მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ის, რაც მოსწავლეს დაინტერესებს, შვილების, შვილიშვილების ან მშობლების შესახებ.

მიზნობრივი თამაში „გავიცნოთ ერთმანეთი“

მასწავლებელი სიის მეშვეობით ეცნობა კლასს, იგი სთხოვს მოსწავლეებს, რომ წამოდგნენ მათი სახელისა და გვარის დასახელებისას. თითოეული მოსწავლის მიმართ გარკვეული თითო კითხვის დასმით გამოამჟღავნოს ყურადღება:

– სკოლაში ვინ მოგიყვანა?